ევროკავშირი
საქართველოსთვის

Project funded by the European Union

CENN
Shaping the Future by Changing Today

კლიმატის ცვლილების მიტიგაციისა და ადაპტაციის ინოვაციური იდეების

საგრანტო კონკურსი

საგრანტო სახელმძღვანელო

KRDF
ქახეთის რეგიონული განვითარების ფონდი
KAKHETI REGIONAL DEVELOPMENT FOUNDATION

ჭიათურელთა კავშირი

რაფა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ადრეფეოდალური განვითარების ბაზისური

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
Young Pedagogues' Union

კლიმატის ცვლილების მიტიგაციისა და ადაპტაციის ინოვაციური იდეების

საგრანტო კონკურსი

პროექტის

საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში

ფარგლებში

დოკუმენტი მომზადდა კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ, პროექტის განმახორციელებელ პარტნიორებთან კონსულტაციით. დოკუმენტი, საჭიროების შემთხვევაში, განახლდება, მთლიანად ან ნაწილობრივ.

2023 წელი

სარჩევი

1. პროექტის შესახებ 4
2. საგრანტო კონკურსის შესახებ 6
3. კონკურსში მონაწილეობა..... 8
4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა..... 9
5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შეჩერვა/შეფასება 10
6. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები..... 16
7. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება..... 16

დანართი 1 - საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამონათვალი.....17

1. პროექტის შესახებ

დონორი	ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში
პროექტის სახელწოდება	საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP): სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში
ხანგრძლივობა	4 წელი, 2021 წლის იანვარი – 2024 წლის დეკემბერი
პროექტის განმახორციელებელი	CENN
პარტნიორები	კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი (KRDF) ჭიათურელთა კავშირი (ACU) რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის აგროტურიზმის განვითარების ასოციაცია (RLS-ADA) ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი(YPU)
პროექტის გეოგრაფიული არეალი	კახეთი - გურჯაანი, საგარეჯო და ახმეტა; იმერეთი - ზესტაფონი, ტყიბული და ჭიათურა; გურია - ლანჩხუთი და ოზურგეთი; რაჭა-ლეჩხუმი - ონი და ამბროლაური.

პროექტის მიზანი

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი საქართველოს კლიმატის პროგრამის (GEO-CAP) ფარგლებში, CENN, პროექტის განმახორციელებელ პარტნიორებთან KRDF, ACU, YPU და RLS-ADA ერთად, ხელს უწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდას კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

პროექტის მიზანია კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების როლის გაძლიერება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით რეგიონული სამოქმედო ჯგუფებისა და ეროვნული პლატფორმის შექმნისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის ჩამოყალიბების გზით.

პროექტის სამიზნე ჯგუფები

- *ადგილობრივი და ეროვნული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები*
- *ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება*
- *ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები (სოფლად მცხოვრები ქალთა საბჭოები, WASH საბჭოები, სხვ.)*
- *სასწავლო დაწესებულებები: უნივერსიტეტები, კოლეჯები, სკოლები*
- *კერძო სექტორი: მსხვილი კომპანიები, საშუალო და მცირე ზომის საწარმოები, მიკრო საწარმოები და ინდმეწარმეები, ფერმერები და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები*
- *ქალები და ახალგაზრდები (18-29 წლის)*
- *მარგინალიზებული, დაუცველი და გარიყული ჯგუფები*

2. საგრანტო კონკურსის შესახებ

კლიმატის ცვლილების მიტიგაციისა და ადაპტაციის ინოვაციური იდეების საგრანტო კონკურსის მიზანია პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში ისეთი ინოვაციური და მდგრადი პროექტების გამოვლენა და დაფინანსება, რომლებიც მიმართული იქნება ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების გაძლიერებაზე, რათა მათ შეძლონ ეფექტიანად გაუმკლავდნენ კლიმატის ცვლილებას, მოახდინონ ეფექტიანი რეაგირება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და შეიტანონ წვლილი ადგილობრივი გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ასევე, ისეთი ინიციატივების გამოვლენა, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი ტექნოლოგიებისა და ციფრული გადაწყვეტების დანერგვას მდგრადობის, ცირკულარი ეკონომიკისა და პოსტ კოვიდური მწვანე აღდგენის ხელშეწყობის მიზნით.

საგრანტო კონკურსის მიზანია ისეთი ინოვაციური და მდგრადი პროექტების განხორციელება პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში, რომლებიც ხელს შეუწყობენ:

- *კლიმატის ცვლილების შერბილებასა და მასთან ადაპტაციას;*
- *საზოგადოების მდგრადობის გაზრდასა და ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვას;*
- *საგანმანათლებლო დაწესებულებებში კლიმატის ცვლილების საკითხების ინტეგრირებას;*
- *სექტორში ახალგაზრდა კადრების/სპეციალისტების გაზრდას.*

დაფინანსებული პროექტების განხორციელების შემდეგ მოსალოდნელი შედეგია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ჩართვა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლაში და მათი შესაძლებლობების გაზრდა მდგრადი პროექტების განხორციელების მიმართულებით.

ფინანსური დახმარების მიღებას შეძლებენ ისეთი ინოვაციური და მდგრადი პროექტები, რომელიც ემსახურებიან სამიზნე მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირები, სოციალურად დაუცველი ჯგუფები, ეთნიკური უმცირესობები, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვ.) ინტერესების დაცვას კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში შემდეგი მიდგომებით:

- *სუფთა წყაღზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;*
- *გვაღვისა და ნიადაგის დეგრადაციის პრევენცია*
- *ენერგოეფექტიანობისა და განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვის ხელშეწყობა;*
- *სუსხათის უსაფრთხოების მხარდაჭერა;*
- *სოციალურ-ეკონომიკური (მდგრადი, ციკლურადი ეკონომიკის პრინციპების*

  გთვალისწინებით) განვითარება;
- *წყლის დაბინძურების შემცირება;*
- *ბუნებრივი კატასტროფებისგან დაცვა და ეკოსისტემების შენარჩუნება;*
- *კლიმატის ცვლილების სექტორში ახალგაზრდა სპეციალისტების გაზრდა.*

ფინანსური მხარდაჭერის მიღება შეუძლიათ სამიზნე რეგიონში რეგისტრირებულ იურიდიული სტატუსის მქონე ობიექტებს, რომლებსაც სურთ წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელი შეუწყონ კლიმატის ცვლილების შერბილებას, ადაპტაციასა და რეგიონში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრას.

საგრანტო კონკურსის თემატური მიმართულებებია:

1. წყლის უსაფრთხოება
2. ეკოსისტემის აღდგენა გვალვის პრევენციისათვის (ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების (NbS) მიდგომის გამოყენებით)[1]
3. კლიმატის ცვლილება და კლიმატგონივრული გადაწყვეტები (climate-smart solutions)
4. WASH - წყალი, ჰიგიენა და სანიტარია
5. გარემოს დეგრადაცია და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა
6. ენერგოეფექტიანობა და განახლებადი ენერგია
7. ცირკულარული ეკონომიკა
8. მწვანე ქალაქები/სოფლები და ტრანსპორტი
9. რესურსების მდგრადი მართვა

საგრანტო კონკურსის გამჭოლი (cross-cutting) საკითხებია:

1. სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ლობირებისა და ადვოკატირების მიმართულებით
2. ევროპული გამოცდილების გაზიარება
3. HRBA - ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა[2]
4. მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაცია
5. ციფრული ტექნოლოგიები
6. პოსტპანდემიური მწვანე აღდგენა

შენიშვნა: *განსაკუთრებული პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ორი გამჭოლი საკითხი: ლობირება და ადვოკატირება და ევროპული გამოცდილების გაზიარება.*

---

1. IUCN-ის განმარტებით, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები (NbS) არის ბუნებრივი ან მოდიფიცირებული ეკოსისტემების დაცვის, მდგრადი მართვისა და აღდგენისკენ მიმართული ქმედებები, რომლებიც საზოგადოებრივ გამოწვევებს პასუხობენ (მაგ. კლიმატის ცვლილება, უსაფრთხოება საკვებისა და წყლის რესურსების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ან ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეული კატასტროფები) და ამავდროულად, მაღალი ადაპტაციის უნარისა და ეფექტიანობის საშუალებით, ადამიანებისა და ბიომრავალფეროვნების კეთილდღეობას უზრუნველყოფენ (WCC 2016, რეზოლუცია 069). მეტი ინფორმაცია იხილეთ აქ.

2. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ემსახურება იმას, რომ გააძლიეროს უფლებების მატარებელთა შესაძლებლობები თავიანთი უფლებების მოთხოვნისთვის და პასუხისმგებლობის მატარებელთა შესაძლებლობები, რათა შეასრულონ თავიანთი ვალდებულებები, როგორც განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ყურადღებას უთმობს მარგინალურ, სოციალურად დაუცველ და გარიყულ მოსახლეობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი განიხილებოდნენ როგორც უფლებათა მქონეებად, ასევე ვალდებულებათა მატარებლებად და მთელ მოსახლეობას ეძლეოდეს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს პროცესებში და მათ შედეგებში. მეტი ინფორმაცია იხილეთ აქ.

3. კონკურსში მონაწილეობა

საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ პროექტის სამიზნე რეგიონებში რეგისტრირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს (სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ის გარდა).

შენიშვნა: *აპლიკანტი დარეგისტრირებული უნდა იყოს განაცხადის შემოტანამდე სულ მცირე 1 წლით ადრე.*

აპლიკანტი შეიძლება დარეგისტრირებული იყოს სამიზნე რეგიონის არასამიზნე მუნიციპალიტეტში, თუმცა საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობები **აუცილებლად უნდა განხორციელდეს სამიზნე მუნიციპალიტეტებში.**

სამიზნე რეგიონების სამიზნე მუნიციპალიტეტები:

- *კახეთის რეგიონი - გურჯაანი, საგარეჯო და ახმეტა;*
- *იმერეთის რეგიონი - ზესტაფონი, ტყიბული და ჭიათურა;*
- *გურიის რეგიონი - ლანჩხუთი და ოზურგეთი;*
- *რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი - ონი და ამბროლაური.*

შენიშვნა: *საგრანტო კონკურსში პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ განაცხადებს, რომელთა მომზადებაში მონაწილეობდნენ ქალები, ახალგაზრდები და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები (შშმ პირები, სოციალურად დაუცველი ჯგუფები, ეთნიკური უმცირესობები, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პირები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვ.) და რომლებიც საბოლოო ჯამში სარგებელს მოუტანს ზემოთ აღნიშნულ ჯგუფებს. ასევე, უპირატესობა მიენიჭება ისეთ საგრანტო იდეას, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას ორ მუნიციპალიტეტს შორის.*

4. საგრანტო დაფინანსების შესაძლებლობა და ოდენობა

საგრანტო განაცხადის ფარგლებში მოთხოვნილი თანხის მინიმალური ოდენობა შეადგენს 3,000 ევროს ეკვივალენტს ლარში, ხოლო მაქსიმალური - 9,000 ევროს ეკვივალენტს ლარში. პროექტის ფარგლებში უკვე გამოცხადდა პირველი საგრანტო კონკურსი 2022 წელს. 2023 წელს დაგეგმილია მინიმუმ კიდევ 10 პროექტის დაფინანსება.

შენიშვნა: *კონკურსში მონაწილეს არ მოეთხოვება თანხობრივი თანამონაწილეობა, თუმცა პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ საპროექტო, ინოვაციურ განაცხადებს, რომლებშიც თანხობრივი თანამონაწილეობა იქნება გათვალისწინებული.*

ხარჯები, რომლებიც არ დაფინანსდება საგრანტო რესურსით

საგრანტო რესურსით არ დაფინანსდება შემდეგი ხარჯები:

1. უძრავი ქონების შეძენა
2. მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის, ფრინველების, ფუტკრის ოჯახების შეძენა
3. ავტომობილის, მიკროავტობუსის, ავტობუსის და სხვ. (გარდა სპეციფიური სატრანსპორტო საშუალებისა, რომელიც არის გარემოსთან მეგობრული, ინოვაციური და მართებული კონკრეტული პროექტის კონტექსტში) შეძენა
4. სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში და კონფერენციებში ინდივიდუალური მონაწილეობა
5. კვლევების ან ტრენინგების ინდივიდუალური დაფინანსება გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ის წარმოადგენს ძირითადი საქმიანობის შემადგენელ კომპონენტს
6. სასწავლო გრანტები უმაღლესი განათლებისათვის
7. ვალები და მომავალი შესაძლო ზარალისათვის გათვალისწინებული ხარჯები
8. გადასახდელი პროცენტები, საურავები, ჯარიმები
9. ზარალი, გამოწვეული სავალუტო კონვერტაციის შედეგად
10. მესამე მხარისათვის გაცემული სესხები
11. სადაზღვევო ხარჯები
12. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აკრძალული საქმიანობები

5. კონკურსის ეტაპები, ვადები და განაცხადების შერჩევა/შეფასება

კლიმატის ცვლილების მიტიგაციისა და ადაპტაციის ინოვაციური იდეების საგრანტო კონკურსი შედგება 6 ეტაპისგან:

1. საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის წარდგენა
2. საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის შეფასება ჟიურის მიერ
3. შერჩეული საგრანტო იდეების ავტორებისთვის ტრენინგ კურსი სრული საპროექტო განაცხადის მომზადებაზე (ტრენინგზე დასასწრებად 1 საპროექტო იდეისთვის გათვალისწინებულია 2 მონაწილე)
4. სრული განაცხადის წარდგენა
5. სრული საგრანტო განცხადებების შეფასება ჟიურის მიერ და გასაუბრება
6. საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

განაცხადების წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე.

საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის წარდგენა

განმცხადებელმა საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის წარდგენისას უნდა გამოგზავნოს შემდეგი ფორმები:

- ფორმა 1: შევსებული საპროექტო განაცხადი;
- ფორმა 2: შევსებული პროექტის დეტალური ბიუჯეტი;

შენიშვნა: *პროექტი არ აფინანსებს დღგ-ს და ხარჯები მითითებული უნდა იყოს დღგ-ს გარეშე. გრანტის ფარგლებში გადახდილი დღგ-ს დაბრუნება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურში შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.*

- **განახლებული** ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
- 2 სარეკომენდაციო წერილი (პარტნიორი ორგანიზაციებისგან, დონორებისგან და ა.შ);

შენიშვნა: *წერილში მითითებული უნდა იყოს რეკომენდატორი პირის საკონტაქტო ინფორმაცია. უფროფერდამოკიდებული პირის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი ჩაითვლება ბათილად;*

- სხვა მასალა საჭიროებისამებრ.

შევსებული ფორმები უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად, ხელმოწერილი ან/და არსებობის შემთხვევაში ბეჭდით დამოწმებული, შემდეგ ელ.ფოსტაზე - grants@cenn.org

მეილის სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს: “EU-GEO-CAP - პირველადი საპროექტო განაცხადი“.

საგრანტო კონკურსში ერთ ორგანიზაციას შეუძლია მხოლოდ ერთი განაცხადის წარდგენა.

საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპის ვადები:

- საგრანტო კონკურსის დაწყების თარიღია **2023 წლის 1 თებერვალი**
- პირველადი განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადაა **2023 წლის 1 მარტი, 18:00 საათი.**

შენიშვნა: *ვადა გადაციღებით წაhმოდგენიღი ან/და ხეღით შევსებუღი საპhოექტო იდეები აh მიიღება.*

საგრანტო იდეის პირველადი განაცხადის შეფასება

სრულყოფილად შევსებული შემოსული პირველადი განაცხადების განსახილველად შეიქმნება 7 წევრისგან შემდგარი საგრანტო კომისია: CENN-ის 1 წარმომადგენელი, პროექტის განმახორციელებელი თითოეული პარტნიორი ორგანიზაციიდან 1 წარმომადგენელი (ჯამში 4), 2 მოწვეული თემატური ექსპერტი.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1. იდეის/პრობლემის აქტუალურობა და შესაბამისობა კონკურსის მიზანთან პროექტის იდეა/პრობლემა აქტუალურია სამიზნე მუნიციპალიტეტებისათვის და თანხვედრაშია კონკურსის მიზანთან.	15 ქულა
2. იდეის შესაბამისობა პროექტის პრიორიტეტებთან საგრანტო განაცხადში აღწერილი იდეა შეესაბამება საგრანტო კონკურსის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას (იხ. თავი 2).	10 ქულა
3. პროექტის ბიუჯეტი და საგრანტო თანხა პროექტის ბიუჯეტი არის გონივრული და ასახავს გრანტის რესურსების ეფექტიან მოხმარებას; მოთხოვნილი ბიუჯეტი არ შეიცავს აკრძალულ ხარჯებს (იხ. თავი 4); ასევე, მოთხოვნილი თანხა შეესაბამება კონკურსის დაფინანსების კრიტერიუმებს.	10 ქულა
4. პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა გეგმაში მოცემული საქმიანობები გონივრულია და შეესაბამება დროით ჩარჩოს (საგრანტო განაცხადში აღწერილი პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს).	10 ქულა
5. ცოდნა და გამოცდილება განმცხადებელს აქვს შესაბამისი ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისათვის.	10 ქულა
6. ინოვაცია და მდგრადობა განაცხადში ნაჩვენებია საპროექტო იდეის ინოვაციურობა და მდგრადობა[3].	10 ქულა

3. ინოვაციის განმარტება: „ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება“ (საქ. კანონი)

7. ბენეფიციარების რაოდენობა პროექტს ჰყავს მინიმუმ 400 ბენეფიციარი.	10 ქულა
8. ქალების, ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება პროექტი აძლიერებს ქალებს, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს.	**10 ქულა**
9. საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობა პროექტი თანამშრომლობს **საერთაშორისო** არასამთავრობო ორგანიზაციასთან[4].	**10 ქულა**
10. ლობირება და ადვოკატირება პროექტი შეიცავს ლობირებისა და ადვოკატირების კომპონენტს.	**5 ქულა**
11. მოთხოვნილი დოკუმენტაციის სისრულე აპლიკანტის მიერ წარმოდგენილია ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი.	**5 ქულა**
ჯამი	**100 ქულა**

2023 წელს ჩატარებული კონკურსის ფარგლებში, შემდეგ (ტრენინგის) ეტაპზე გადავა ჯამში 20 საპროექტო იდეა, რომლებიც რეიტინგში ყველაზე მაღალ ქულებს დააგროვებენ.

შერჩეული საგრანტო იდეების ავტორებისთვის ტრენინგ კურსი სრული საპროექტო განაცხადის მომზადებაზე

რეიტინგის მიხედვით შერჩეული 20 საპროექტო განაცხადის ავტორები (თითოეული საპროექტო განაცხადის ფარგლებში გათვალისწინებულია 2 მონაწილის დასწრება) გაივლიან ტრენინგ კურსს სრული საპროექტო განაცხადის მომზადებაზე ბულაჩაურის მწვანე ცენტრში. აღნიშნული 4-დღიანი ტრენინგ პროგრამის დროს მოხდება ისეთი საკითხების დაფარვა როგორიცაა პროექტის წერა, პროექტის მართვა, HRBA მიდგომა, ბიუჯეტირება, პროექტის ხილვადობა და ა.შ. ტრენინგ-კურსის საშუალებით აპლიკანტები შეძლებენ, დახვეწონ საპროექტო იდეები და მოემზადონ სრულყოფილი განაცხადის წარმოსადგენად. შერჩეული საპროექტო იდეების ავტორებისთვის ტრენინგ კურსი ჩატარდება აპრილის თვეში (თარიღის შესახებ 1 თვით ადრე ეცნობებათ შერჩეული საპროექტო იდეების ავტორებს).

სრული განაცხადის წარდგენა

ტრენინგ პროგრამის გავლის შემდეგ, მონაწილეებს მიეცემათ გონივრული ვადა პროექტის სრულყოფილი განაცხადების წარმოსადგენად. სრულყოფილი განაცხადების მიღების დეტალები, მონაწილეებს ეცნობებათ ტრენინგ პროგრამის დასრულების შემდეგ, წერილობითი კომუნიკაციის გზით. სრული საპროექტო განაცხადების წარმოდგენის წინასწარ განსაზღვრული ვადაა 10 მაისი.

4. საერთაშორისო ორგანიზაციების სია, რომლებთანაც შესაძლებელია თანამშრომლობა, მოცემულია დანართ 1-ში. ჩამონათვალი არაა შეზღუდული და აპლიკანტებს თავადაც შეუძლიათ საერთაშორისო პარტნიორების მოძიება.

განმცხადებელმა, სრული საგრანტო განაცხადის წარდგენისას უნდა გამოგზავნოს შემდეგი ფორმები:

- ფორმა 1: შევსებული საპროექტო განაცხადი;
- ფორმა 2: შევსებული პროექტის დეტალური ბიუჯეტი;
- სხვა მასალა საჭიროებისამებრ.

შევსებული ფორმები უნდა გამოიგზავნოს ელექტრონულად, ხელმოწერილი ან/და არსებობის შემთხვევაში, ბეჭდით დამოწმებული, შემდეგ ელ.ფოსტაზე - grants@cenn.org

მეილის სათაურის ველში მითითებული უნდა იყოს: "EU-GEO-CAP - სრული საპროექტო განაცხადი".

შენიშვნა: *განაცხადის წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ ერთი საფოსტო გზავნილით. ერთი განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი საგრანტო განაცხადი, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე გზავნილით ან/და არასრულადაა წარმოდგენილი, ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან.*

სრული საგრანტო განცხადებების შეფასება

ტრენინგ-კურსის გავლის შემდეგ წარმოდგენილ სრულ განაცხადებს განიხილავს საგრანტო კომისია იგივე შემადგენლობით, რომელიც პირველადი განაცხადების შერჩევის ეტაპზე იღებდა მონაწილეობას. სრული განაცხადების შეფასებისას, პირველადი განაცხადის კრიტერიუმებს დაემატება რამდენიმე. კერძოდ, სრული განაცხადის შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1. იდეის/პრობლემის აქტუალურობა და შესაბამისობა კონკურსის მიზანთან პროექტის იდეა/პრობლემა აქტუალურია სამიზნე მუნიციპალიტეტებისათვის და თანხვედრაშია კონკურსის მიზანთან.	**15 ქულა**
2. იდეის შესაბამისობა პროექტის პრიორიტეტებთან და ჯვარედინ საკითხებთან საგრანტო განაცხადში აღწერილი იდეა შეესაბამება საგრანტო კონკურსის ერთ ან რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას და ჯვარედინ საკითხებს (იხ. თავი 2).	**15 ქულა**
3. პროექტის ბიუჯეტი და საგრანტო თანხა პროექტის ბიუჯეტი არის გონივრული და ასახავს გრანტის რესურსების ეფექტიან მოხმარებას; მოთხოვნილი ბიუჯეტი არ შეიცავს აკრძალულ ხარჯებს (იხ. თავი 4); ასევე, მოთხოვნილი თანხა შეესაბამება კონკურსის დაფინანსების კრიტერიუმებს.	**15 ქულა**
4. პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა გეგმაში მოცემული აქტივობები გონივრულია და შეესაბამება დროით ჩარჩოს (საგრანტო განაცხადში აღწერილი პროექტის განხორციელების ხანგრძლივობა არ უნდა აჭარბებდეს 6 თვეს).	**10 ქულა**

5. ინოვაცია და მდგრადობა განაცხადში ნაჩვენებია საპროექტო იდეის ინოვაციურობა[5] და მდგრადობა.	**10 ქულა**
6. ცოდნა და გამოცდილება განმცხადებელს აქვს შესაბამისი ცოდნა ან/და გამოცდილება წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისათვის.	**5 ქულა**
7. პროექტის განხორციელების რისკები და მათი შემცირების გზები განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია SWOT ანალიზი.	**5 ქულა**
8. ბენეფიციარების რაოდენობა პროექტს ჰყავს მინიმუმ 400 ბენეფიციარი.	**5 ქულა**
9. ქალების, ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება პროექტი აძლიერებს ქალებს, ახალგაზრდებისა და მოწყვლადი ჯგუფებს.	**5 ქულა**
10. საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობა პროექტი თანამშრომლობს **საერთაშორისო** არასამთავრობო ორგანიზაციასთან[6].	**5 ქულა**
11. ლობირება და ადვოკატირება პროექტი შეიცავს ლობირებისა და ადვოკატირების კომპონენტს.	**5 ქულა**
12. პროექტის ხილვადობა საპროექტო განაცხადში კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორ მოხდება პროექტის მიმდინარეობისას პროექტის და დონორის ხილვადობის (visibility) უზრუნველყოფა	**5 ქულა**
ჯამი	**100 ქულა**

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით შერჩეული პროექტები შეფასდება კომისიის წევრების მიერ ქულებით. კონკრეტულ განაცხადზე კომისიის წევრების მიერ გაკეთებული ინდივიდუალური შეფასების ქულები დაჯამდება და გამოითვლება საშუალო არითმეტიკული, რაც წარმოადგენს კონკრეტული საგრანტო განაცხადის შეფასების საბოლოო ქულას. 2023 წელს ჯამში დაფინანსდება 10 ყველაზე მაღალი ქულის მქონე საპროექტო განაცხადი. შერჩევის შედეგები ეცნობება განმცხადებლებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგის შემთხვევაში. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მოხდება შერჩეულ განმცხადებლებთან გასაუბრება.

5. ინოვაციის განმარტება: „ეკონომიკური, სამეცნიერო ან სოციალური ღირებულების მქონე, გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტი, პროცესი ან მომსახურება“ (საქ. კანონი)

6. საერთაშორისო ორგანიზაციების სია, რომლებთანაც შესაძლებელია თანამშრომლობა, მოცემულია დანართ 1-ში. ჩამონათვალი არაა შეზღუდული და აპლიკანტებს თავადაც შეუძლიათ საერთაშორისო პარტნიორების მოძიება.

საგრანტო განაცხადის დამტკიცება/კონტრაქტის გაფორმება

გამარჯვებული პროექტების განმცხადებლებთან, კონკურსის ყველა ეტაპის და გრანტის მიმღების იურიდიულ მისამართზე CENN-ის წარმომადგენლების ვიზიტის შემდგომ, გაფორმდება საგრანტო ხელშეკრულება.

განცხადებებისა და საჩივრების კომისია

საგრანტო კონკურსის ფარგლებში, საგრანტო პროცესთან დაკავშირებული განცხადებების და საჩივრების განხილვის მიზნით, შეიქმნება განცხადებებისა და საჩივრების კომისია. განცხადებებისა და საჩივრების კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, განცხადების ან საჩივრის დარეგისტრირებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის საჩივარში არსებულ გარემოებებს და თავისი გადაწყვეტილების შესახებ, შემდგომი რეაგირებისათვის წერილობით აცნობებს პროექტის გუნდს (CENN-ის ცენტრალური ოფისი, ბეთლემის ქ. #27). CENN უზრუნველყოფს განცხადებებისა და საჩივრების კომისიის დაკომპლექტებას ინდივიდუალური შემთხვევების მიხედვით და უზრუნველყოფს მომჩივანს პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაციით.

6. ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულება და შესყიდვები

შერჩევის შემდეგ საგრანტო კომისიის მიერ საპროექტო განაცხადები საბოლოო განხილვისათვის წარედგინება CENN-ის პასუხისმგებელ პირს. იმ შემთხვევაში, თუ ამ ეტაპზე CENN აღმოაჩენს შეთანხმებული და აუცილებელი პროცედურებისგან რამე გადაცდომას ან ინტერესთა კონფლიქტს[7], ის უფლებამოსილია, შეაჩეროს გრანტის ხელშეკრულების ხელმოწერა. თუკი განაცხადი და მასთან არსებული ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი სრულ წესრიგშია, წარმატებული განმცხადებელი ხელს მოაწერს გრანტის ხელშეკრულებას CENN-თან. ხელშეკრულებაში დეტალურად იქნება გაწერილი ორივე მხარის როლი და პასუხისმგებლობები პროექტის განხორციელებასა და დაფინანსებაზე, ასევე, შეთანხმების პირობებზე.

ყველა შესყიდვა განხორციელდება განმცხადებლის მიერ შესაბამისი შესყიდვის პროცედურების წესების დაცვით, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული პროექტის ფინანსურ გუნდთან. შეძენილი აქტივები კუთვნილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებაში.

7. მონიტორინგი, განხილვა და შეფასება

პროექტის მიმდინარეობისას ყველა სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შემმოწმებლისთვის პროექტის განხორციელებისა და მონიტორინგის დროს. ზემოხსენებული დოკუმენტაცია არ გასაჯაროვდება, თუ მასში არ შედის კანონითა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარღვევები. გრანტის მიმღები აწარმოებს და წარმოადგენს რეგულარულ საბუღალტრო ანგარიშგებას, ახორციელებს ყველა საგადასახადო მოთხოვნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის გუნდისათვის პროექტის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში. პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილი პროექტები უნდა დარჩეს მოქმედი და ემსახურებოდეს დასახულ მიზნებს განმცხადებლის მიერ შეთანხმებული პერიოდის განმავლობაში. გრანტის მიმღებმა უნდა უზრუნველყოს ევროკავშირისა და GEO-CAP პროექტის ხილვადობა პროექტის განხორცილების დროს. CENN-ის თხოვნის საფუძველზე, ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს საგრანტო პროექტის ჩვენება ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

---

7. (1) პროექტის წარმდგენი ორგანიზაციის თანამშრომელი არის CENN-ის თანამშრომლის ოჯახის წევრი (დედა, მამა, და, ძმა, მეუღლე ან შვილი), (2) პროექტის წარმდგენი ორგანიზაციის თანამშრომელი და სერვისის მომწოდებელი არიან ოჯახის წევრები ან ნათესავები.

დანართი 1 - საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამონათვალი

ორგანიზაციის დასახელება	ქვეყანა	საკონტაქტო პიროვნება
Association of Krakow Local Leaders Initiatives	Poland	Head of organisation - Jędrzej Chodziński jedrzej.chodzinski@gmail.com
Step Forward Foundation	Serbia	Dejan Peric - Executive Director info@fondacijaiskorak.rs
"Youth Vision" NGO Moldova	Moldova	Nicolai Russu – Director viziuneatinara@gmail.com
Association Centre for Research and Analysis NOVUS Strumica	North Macedonia	Gjorgi Milushev - President milusevgorgi@yahoo.com
Academy for Integration and European Negotiations	Albania	Mona Xhexhaj – Executive Director Monaxhexhaj12@gmail.com

შენიშვნა: *დანახთში მითითებული ოჩგანიზაციების ჩამონათვაღი ახ ახის შეზღუდული. შეგიძღიათ თავად მოიძიოთ საეთაშოხისო პახტნიოხი ოჩგანიზაცია.*

კლიმატის ცვლილების მიტიგაციისა და
ადაპტაციის ინოვაციური იდეების

საგრანტო კონკურსი